ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31253004**
თარიღი: **27/10/2025**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მე-7ე მოწვევის საკრებულოს წევრის ალექსანდრე მახათაძის 2025 წლის 1-ლი იანვრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული მუშაობის შესახებ

ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის 1-ლი ნაწილის და „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესახებ“ 2014 წლის 24 ივლისის №13 დადგენილების 131-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია ამომრჩეველს ყოველწლიურად წარუდგინოს ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. დეპუტატის მანდატი სპეციფიური ხასიათისაა, რომელიც ითვალისწინებს, როგორც საკრებულოში ძირითადი კანონმდებლობის მოწესრიგების უზრუნველყოფას, ასევე შუალედურ როლს ასრულებს მოსახლეობასა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის.

მოგახსენებთ, რომ 2021 წლიდან დღემდე ვარ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე. აქტიურად ვარ ჩართული მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად სწორად დავგეგმოთ წლის ბიუჯეტი და შემდგომში კონტროლი გავუწიოთ მის შემოსავლით და ხარჯვით ნაწილს. 2025 წლის 1-ლი იანვრიდან დღემდე საკრებულოს რეგლამენტის და კომისიის დებულების დაცვით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ მოწვეულ იქნა 6 სხდომა, რომელზეც განხილულ და მოსმენილ იქნა, როგორც სამუშაო გეგმით გათვალისწინებული, ასევე მიმდინარე საკითხები.

2025 წლის აპრილის თვეში საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ სხვა მიმდინარე საკითხებთან ერთად განიხილა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, ხოლო ივლისის თვეში-მიმდინარე წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიში.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია დროულად ახდენს რეაგირებას ყოველ შემოსულ წერილზე და აქტიურად თანამშრომლობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის როგორც საფინანსო-საბიუჯეტო, ასევე სხვა სამსახურებთან.

ასევე მოგახსენებთ, რომ ვარ ჯურუყვეთის ადმინისტრაციული ერთეულის მაცხოვრებელი და აქტიურად ვარ ჩართული სოფელში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვასა და შესრულებაში. მიმდინარე წელს ჯურუყვეთის ადმინისტრაციული ერთეულის სამივე სოფელში დაიგო 5 500 გრძივი მეტრი ასფალტო-ბეტონის გზა, მოეწყო სპორტული მოედანი, ასევე მოხდა ამორტიზირებული 2 საბავშვო ბაღის დემონტაჟი და დაწყებულია სამშენებლო სამუშაოები.

ასევე სოფლის პროგრამების ფარგლებში სოფელ ბაღლებში დასრულდა გარე განათების სამუშაოები, სოფელ ჯურუყვეთში მიმდინარეობს იგივე პროცესი და სოფელ ეწერში დასრულდა ყოფილი ამბულატორიის ეზოს შეღობვითი სამუშაოები, სადაც იგეგმება სკვერის მოწყობა.

მიმდინარე წლის თებერვლის თვეში მომხდარი სტიქიის შედეგად (დიდთოვლობა) დაზიანდა მოსახლეობის საცხოვრებელი სახლები. ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელთან ერთად აქტიურად ვიყავი ჩართული მოსახლეობისთვის პირველადი მოხმარების საგნებისა და მედიკამენტების მიწოდების პროცესში. აღწერილი და დათვლილი იქნა მიყენებული ზიანი, შესაბამისად სრულად მოხდა 15 საცხოვრებელი სახლის გადახურვა და 42 ოჯახს გადაეცა კომპენსაცია.

მომავალშიც, ჩემი უფლებამოსილების ფარგლებში მაქსიმუმს გავაკეთებ იმისთვის, რომ შეძლებისდაგვარად მოხდეს ყველა იმ პრობლემის მოგვარება, რომელიც ჩემი სოფლის მოსახლეობას აწუხებს, როგორც ინფრასტრუქტურული, ასევე სოციალური კუთხით.

პატივისცემით,

ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე